წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N21

ქ.წალენჯიხა 25 ნოემბერი 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, დავით ბელქანია, ნესტან გოგოხია, ივერ კვარაცხელია, ნონა კვარაცხელია, კობა შანავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკ უბილავა, დავით ფიფია, ლევან შელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია, გამგებლის მოადგილე თენგიზ ფიფია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 14:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N55).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 20 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;
   მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2017–2020 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე.
   მომხსენებელი: ილია გულუა-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების, საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.
   გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მებონია,
   მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

4. შშმ პირთა სტატუსის მქონე ბენეფიციართა და მომვლელის საჭიროების მქონე ხანდაზმულთა მოვლის პროგრამა

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: მერაბ შონია,
მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის უფროსი

5.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ წარსადგენი საჯარო ინფორმაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ
და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ წალენჯიხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ პავლე ეგიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი:ასმათ კვარაცხელია,
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს:2 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2017–2020 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ილია გულუამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ გამოთქვა შენიშვნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის იმ კურდამთავრებულების ერთჯერადი ფინანსური წახალისება, რომლებიც მიიღებენ 100% გრანტს.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე, შენიშვნის გათვალისწინებით კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N56) .

მოისმინეს: 3 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების, საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსმა თემურ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N57).

მოისმინეს: 4. შშმ პირთა სტატუსის მქონე ბენეფიციართა და მომვლელის საჭიროების მქონე ხანდაზმულთა მოვლის პროგრამა

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის უფროსმა მერაბ შონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N58)

არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"–ს წარმომადგენელმა ქ.ნ ხათუნა ბეჭვაიამ საკრებულოს მადლობა გადაუხადა საკითხის დადებითად გადაწყვეტის გამო და აღნიშნა რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტი მთელი ქვეყნის მაშტაბით არის პირველი მუნიციპალიტეტი სადაც მოხდა საკითხის დადებითად მოგვარება და წარმატება უსურვა საკრებულოს შემდგომ საქმიანობაში.

მოისმინეს: 5 .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ წარსადგენი საჯარო ინფორმაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვ. გაბელიამ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N32)

მოისმინეს: 6 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ წალენჯიხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ პავლე ეგიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ა.კვარაცხელიამ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N59).

მოისმინეს:7. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ ცალცალკე განიხილა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის 13 ივლისს შემოსული პეტიციები და აღნიშნა, რომ დადებითად იქნა გადაწყვეტილი პეტიცია „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების ყოველთვიური მოვლის პროგრამის თაობაზე", რაც შეეხება სხვა წარმოდგენილ პეტიციებს თემურ ღვინჯილიამ

დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული და განსახორციელებელი ღონისძიებები დადებითი შედეგის მისაღწევად. კერძოდ:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე კანალიზაციის აუზის მოწყობის შესახებ“ პეტიციასთან დაკავშირებით-როგორც ეს ადრე (პეტიციის შემოსვლის პერიოდში) გაცხადდა, შედგენილი იყო ხარჯთაღრიცხვა, გამოცხადდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული, დაიწყო და გრძელდება სამუშაოები, რომლებიც უნდა დასრულდეს წლის ბოლომდე.

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მდინარე ჭანისწყალის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაგვიანების ამკრძალავი ნიშნების მოწყობა და აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფა“ -ის შესახებ პეტიციასთან დაკავშირებით -გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარდა გარკვეული სახის სამუშაოები, როგორიცაა: დანაგვიანების ამკრძალავი ბანერების განთავსება მდინარე ჭანისწყლის სანაპიროს იმ ზოლზე სადაც ყველაზე მეტი დამსვენებელია (ჭადრებთან, შპს „ლაზიკა“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე და შანავას სახელობის სპორტდარბაზის მიმდებარედ). მომავალი წლის ბიუჯეტში დაგეგმილია ხარჯები, კიდევ დამატებით, დანაგვიანების ამკრძალავი ბანერების განსათავსებლად და მდინარე ჭანისწყლის მთელ ზოლზე ზაფხულის პერიოდში ტერიტორიის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დასუფთავებისათვის.

3. „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ სოფლებს (ჯგალი და მედანი) შორის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაციის შესახებ პეტიციასთან დაკავშირებით-ჯგალი მედანის დამაკავშირებული გზის მთლიანი რეაბილიტაცია 400 ათას ლარამდე ჯდება, ამ თანხის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება შეუძლებელია. რაც შეეხება აღნიშნულ გზის მონაკვეთზე სანიაღვრე არხის, წყალგამტარი მილის, გაბიონის კედლის და 150 მეტრიან დაღმართზე ბეტონის გზის მოწყობას, გარკვეულ სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვა შედგენილია. სავარაუდოდ, აღნიშნული სამუშაოების სრული, საბოლოო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 120 ათასი ლარამდე დაჯდება და თანადაფინანსების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება 2017 წლის ბიუჯეტში შესაბამისი ხარჯების გათვალისწინება.

სხდომის დასარულს საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ, მადლობა გადაუხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი“-ის წარმომადგენლებს მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა მომავალი თანამშრომლობისა. თავის მხრივ არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი“-ის დირექტორმა ხათუნა ბეჭვაიამ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკითხების ორგანიზებულად და მათ მიერ მხარდაჭერილი პეტიციების დადებითად გადაწყვეტისთვის. გამოთქვა მზაობა შემდგომი თანამშრომლობისა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N21

ქ.წალენჯიხა

25 ნოემბერი 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, დავით ბელქანია, ნესტან გოგოხია, ივერ კვარაცხელია, ნონა კვარაცხელია, კობა შანავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკ უბილავა, დავით ფიფია, ლევან შელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია, გამგებლის მოადგილე თენგიზ ფიფია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 14:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N55).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 20 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი

.....
4. შშმ პირთა სტატუსის მქონე ბენეფიციართა და მომვლელის საჭიროების მქონე ხანდაზმულთა მოვლის პროგრამის თაობაზე.
გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: მერაბ შონია,
მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის უფროსი

.....
7. სხვადასხვა

მოისმინეს: 4. შშმ პირთა სტატუსის მქონე ბენეფიციართა და მომვლელის საჭიროების მქონე ხანდაზმულთა მოვლის პროგრამა

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის უფროსმა მერაბ შონიამ. საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N58).
არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"–ს წარმომადგენელმა ქ.ნ ხათუნა ბეჭვაიამ საკრებულოს მადლობა გადაუხადა საკითხის დადებითად გადაწყვეტის გამო და აღნიშნა რომ

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი მთელი ქვეყნის მაშტაბით არის პირველი მუნიციპალიტეტი სადაც მოხდა საკითხის დადებითად მოგვარება და წარმატება უსურვა საკრებულოს შემდგომ საქმიანობაში.

მოისმინეს:7. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ ცალცალკე განიხილა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის 13 ივლისს შემოსული პეტიციები და აღნიშნა, რომ დადებითად იქნა გადაწყვეტილი პეტიცია „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების ყოველთვიური მოვლის პროგრამის თაობაზე", რაც შეეხება სხვა წარმოდგენილ პეტიციებს თემურ ღვინჯილიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული და განსახორციელებელი ღონისძიებები დადებითი შედეგის მისაღწევად. კერძოდ:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე კანალიზაციის აუზის მოწყობის შესახებ" პეტიციასთან დაკავშირებით-როგორც ეს ადრე (პეტიციის შემოსვლის პერიოდში) გაცხადდა, შედგენილი იყო ხარჯთაღრიცხვა, გამოცხადდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული, დაიწყო და გრძელდება სამუშაოები, რომლებიც უნდა დასრულდეს წლის ბოლომდე.

2. **„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მდინარე ჭანისწყალის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაგვიანების ამკრძალავი ნიშნების მოწყობა და აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფა" -ის შესახებ** პეტიციასთან დაკავშირებით -გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარდა გარკვეული სახის სამუშაოები, როგორიცაა: დანაგვიანების ამკრძალავი ბანერების განთავსება მდინარე ჭანისწყლის სანაპიროს იმ ზოლზე სადაც ყველაზე მეტი დამსვენებელია (ჭადრებთან, შპს „ლაზიკა"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე და შანავას სახელობის სპორტდარბაზის მიმდებარედ). მომავალი წლის ბიუჯეტში დაგეგმილია ხარჯები, კიდევ დამატებით, დანაგვიანების ამკრძალავი ბანერების განსათავსებლად და მდინარე ჭანისწყლის მთელ ზოლზე ზაფხულის პერიოდში ტერიტორიის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დასუფთავებისათვის.

3. **„ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ სოფლებს (ჯგალი და მედანი) შორის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაციის შესახებ პეტიციასთან დაკავშირებით-**ჯგალი მედანის დამაკავშირებული გზის მთლიანი რეაბილიტაცია 400 ათას ლარამდე ჯდება, ამ თანხის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება შეუძლებელია. რაც შეეხება აღნიშნულ გზის მონაკვეთზე სანიაღვრე არხის, წყალგამტარი მილის, გაბიონის კედლის და 150 მეტრიან დაღმართზე ბეტონის გზის მოწყობას, გარკვეულ სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვა შედგენილია. სავარაუდოდ, აღნიშნული სამუშაოების სრული, საბოლოო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 120 ათასი ლარამდე დაჯდება და თანადაფინანსების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება 2017 წლის ბიუჯეტში შესაბამისი ხარჯების გათვალისწინება.

სხდომის დასარულს საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ, მადლობა გადაუხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"-ის წარმომადგენლებს მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა მომავალი თანამშრომლობისა. თავის მხრივ არასამთავრობო ორგანიზაცია „თანაზიარი"-ის დირექტორმა ხათუნა ბეჭვაიამ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკითხების ორგანიზებულად და მათ მიერ მხარდაჭერილი პეტიციების დადებითად გადაწყვეტისთვის. გამოთქვა მზაობა შემდგომი თანამშრომლობისა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია /ხელმოწერილია/

ა/დ სწორია: ი.მოლაშხია

აპარატის უფროსი

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

25 ნოემბერი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N55

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2017–2020 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე.

მომხსენებელი: ილია გულუა-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების, საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მებონია,
მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

3. შშმ პირთა სტატუსის მქონე ბენეფიციართა და მომვლელის საჭიროების მქონე ხანდაზმულთა მოვლის პროგრამა

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: მერაბ შონია,
მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის უფროსი

4.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ წარსადგენი საჯარო ინფორმაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ
და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ წალენჯიხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ პავლე ეგიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი:ასმათ კვარაცხელია,
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6.სხვადასხვა.

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ჭობალია ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 25 ნოემბერი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N56

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2017–2020 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და 91–ე მუხლის მე–4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 78–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად,

1. მიღებულიქნეს ცნობად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტზე წარმოდგენილი შენიშვნები და 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი 2017–2020 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და წარმოდგენილ შენიშვნებთან ერთად დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის გამგებელს შემდგომი რეაგირებისთვის.
3. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალიას ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია